

## განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „ნარკოტიკული  
საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების,  
პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“  
საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „პატიმრობის კოდექსის“ ახალი პროექტის მომზადებით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელადასრულების ორგანოების სისტემურ ცვლილებას.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ ახალ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი მომზადებულია „პატიმრობის კოდექსის“ ახალი პროექტიდან გამომდინარე. კანონპროექტის შესაბამისად, ტერმინი „პატიმრობაში აყვანა“ იცვლება ტერმინით „წინასწარ პატიმრობაში ყოფნა“, ხოლო ტერმინი „თავისუფლების აღკვეთის ადგილები“ – ტერმინით „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები“, რაც კანონპროექტში შესაბამისად არის ასახული, რაც შესაბამისად ასახულია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-40 მუხლის მე-6 პუნქტში.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

#### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოდების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში  
მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო  
ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც  
მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის  
არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით  
გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და  
ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე  
ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება  
კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**  
ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის  
სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.